ხელშეკრულება N6

დ.ჩხოროწყუ 1 თებერვალი, 2011 წ.

ერთის მხრივ, ჩხოროწყუს რაიონის **თაიას საჯარო სკოლა**(შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლონგინოზ თოდუას სახით და მეორეს მხრივ, **ინდ. მეწარმე “ რობერტ ბერულავა”** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი რობერტ ბერულავას სახით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან სამეურნეო საქონლის შესყიდვა საქონლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.სულ ღირებულებით 260 (ორასსამოცი)ლარი.

2. **მიწოდების პირობები**

2.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნისთანავე.

2.2 ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია მიმწოდებლის ოფისი, მდებარე მისამართზე: ჩხოროწყუ, გობეჩიას ქუჩა, N14

2.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები)

3. **მიღება-ჩაბარების წესი**

3.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვით, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 დღის განმავლობაში.

4.2 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: საგადასახო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები

5. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

5.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

6. **დავების გადაწყვეტის წესი**

6.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

6.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. **დასკვნითი დებულებანი**

7.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის 2 ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება შემსყიდველთან, ერთი გადაეცემა მიმწოდებელს

8. **მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები.**

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
თაიას საჯარო სკოლა	ი/მ რობერტ ბერულავა
საიდენტიფიკაციო კოდი: 242263377	საიდენტიფიკაციო კოდი: 48001000388
მისამართი: ჩხოროწყუ, ს.თაია	მისამართი: დ.ჩხოროწყუ, ჭავჭავაძის ქ. N9
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „ლიბერთი ბანკის“	საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „ლიბერთი ბანკის“
ჩხოროწყუს ფილიალი.	ჩხოროწყუს ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101446	ბანკის კოდი: 220101446
ანგ. N GE94LB0121133221315000	ანგ. N112147824533000
ხელმოწერა:	ხელმოწერა: